ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6381850

ნომერი: AR1952153

თარიღი : 28.02.2023

გაცემის თარიღი : 23.03.2023

გაცნობის თარიღი : 23.03.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N 23ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გრიგოლია პ/ნ 42001040113
- ქალაქი თბილისი, ზ. ჭავჭავაძის ქუჩა, N11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 28 თებერვალს №AR1952153 განცხადებით მომართა გიორგი გრიგოლიამ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანებით ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №23ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.01.122.025), სამსახურის 2022 წლის 27 ივნისის №6002036 ბრძანებით შეთანხმებული სასტუმროს არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 20 თებერვლიდან 2025 წლის 20 თებერვლის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „სთარ ბილდინგი“ (ს/ნ: 427740288).
წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და დამკვეთად შპს „სთარ ბილდინგის“ (ს/ნ: 427740288) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882023011068, მომზადების თარიღი: 11/01/2023) თანახმად, №01.17.01.122.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „სთარ ბილდინგი“ (ს/ნ: 427740288).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან №01.17.01.122.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „სთარ ბილდინგი“ (ს/ნ: 427740288), რომელიც დამკვეთად უკვე დაფიქსირებულია სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანებაში, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ცვლილება შეიტანოს სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებასთან და დამკვეთად შპს „სთარ ბილდინგის“ (ს/ნ: 427740288) ხელმეორედ დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.